სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
კრედიტსერვისი +"
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018 წელი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7
სრული შემოსავლის ანგარიშგება 8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 11

1. კომპანია და მისი საქმიანობა 11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა 27
4. სააღრიხვო პოლიტიკაში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილება 28
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 30
6. კლიენტებზე გაცემული სესხები 30
7. ძირითადი საშუალებები 33
8. არამატერიალური აქტივები 34
9. სხვა აქტივები 34
10. ნასესხები საშუალებები 35
11. სხვა ვალდებულებები 36
12. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები 36
13. სხვა არასაოპერაციო მოგება 37
14. მოგების გადასახადი 37
15. ანარიცხები 39
16. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 39
17. ფინანსური რისკების მართვა 39
18. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 56
19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 59
20. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 59
21. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში 60
22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 60
23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები 62

7 Bambis Rigi St.,
0105, Tbilisi, Georgia

**T:** +955 322 438 999
**F:** +955 322 438 999

office@bakertilly.ge
**www.bakertilly.ge**

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

ვის: სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +”-ის დამფუძნებლებს

**პირობითი მოსაზრება**

ჩავატარეთ სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +”-ის (შემდგომში, ტექსტში, კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი”- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს) შესაბამისად.

**პირობითი მოსაზრების საფუძველი (ქვემოთ თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არ იქნება მინიშნებული).**

**სესხების მოდიფიკაცია** - კომპანიას დანერგილი აქვს პრაქტიკა როდესაც ცალკეული პრობლემური მსესხებლის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაცია ხდება. ეს პროცესი მიზნად ისახავს სესხის ამოღებადობისა და საკრედიტო ხარისხის გაუმჯობესებას, რის გამოც ხორციელდება არსებული სესხისგან მისაღები ფინანსური ნაკადების მოდიფიცირება. ამ ცვლილების შედეგად თავდაპირველი ფინანსური აქტივი ანულირდება და წარმოიქმნება ახალი. ყველა ამ ახალი ფინანსური აქტივის აღიარებისას ითვლება რომ ახალი სესხი დაბალ რისკიანია და მათი გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება 12 თვიან პერიოდზე მოსალოდნელი დანაკარგებით მაშინ, როცა მოდიფიკაციამდე არსებული სესხი მაღალ რისკიანად ითვლებოდა მათი გაუფასურების რეზერვი განისაზღვრებოდა არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებით. ფასს 9 - ფინანსური აქტივების პუნქტი 5.5.12 და მისი შესაბამისი მითითება ბ 5.5.26 მიუთითებს რომ ასეთ ახალი ფინანსური აქტივის აღიარების მომენტისათვის შეიძლება არსებობდეს მტკიცებულებები იმისა რომ მოდიფიცირებული აქტივი გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას, და იგი უნდა ჩაითვალოს როგორც საწარმოში შექმნილი გაუფასურებული აქტივი. კომპანიას არ აქვს დანერგილი პრაქტიკა რომელიც დაკავშირებულია ასეთი სახის მტკიცებულებების მოპოვებასთან, გაანალიზებასა და კრიტიკულად შეაფასებთან. სააღრიცხვო სისტემა ვერ აიდენთიფიცირებს ასეთი სახის სესხებს. ჩვენთვის შეუძლებელი იყო შეგვეფასებინა რა სახის გავლენა იქონია ამ სახის შიდა კონტროლის ნაკლოვანებამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ გაუფასურების რეზერვების ოდენობაზე და შესაბამისად პერიოდის შედეგზე, ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებში.

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

7 Bambis Rigi St.,
0105, Tbilisi, Georgia

**T:** +955 322 438 999
**F:** +955 322 438 999

office@bakertilly.ge
**www.bakertilly.ge**

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა რომ, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**მნიშვნელოვანი გარემოებები**

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა ნომერ 2.2-ზე - გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩასწორება და რეკლასიფიკაცია: გასული პერიოდის (2017 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის) ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა, თუმცა, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი მონაცემები ჩასწორებულია. გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩასწორებამ და რეკლასიფიკაციამ არ გამოიწვია ჩვენი დასკვნის დამატებითი მოდიფიკაცია.

**სხვა გარემოება**

**საქმიანობის მიმოხილვის ანგარიში** - სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ, 2019 წლის 15 სექტემბრამდე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაზე, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. როდესაც გავეცნობით საქმიანობის მიმოხილვასა და კორპორაციულ მართვის ანგარიშგებას, თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მასში, გვევალება, ამ საკითხის შესახებ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება.

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.



Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

7 Bambis Rigi St.,
0105, Tbilisi, Georgia

**T:** +955 322 438 999
**F:** +955 322 438 999

office@bakertilly.ge
**www.bakertilly.ge**

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

7 Bambis Rigi St.,
0105, Tbilisi, Georgia

**T:** +955 322 438 999
**F:** +955 322 438 999

office@bakertilly.ge
**www.bakertilly.ge**

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობებთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი  შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია - ივანე ჯელია.

ივანე ჯელია

სს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - ს სახელით
მმართველი პარტნიორი
2019 წლის 15 ივნისი

ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2018 წ. | 31 დეკემბერი, 2017 წ. ჩასწორებული | 1 იანვარი, 2017 წელი ჩასწორებული |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 0 | 2,409 | 6,597 | 4,954 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 6 | 19,843 | 19,445 | 21,708 |
| ძირითადი საშუალებები | 7 | 62 | 4,721 | 4,895 |
| არამატერიალური აქტივები | 8 | 189 | 188 | 225 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | 14 | 115 | 136 | 199 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | | - | - | 545 |
| სხვა აქტივები | 9 | 182 | 442 | 807 |
| **სულ აქტივები** | | **22,800** | **31,529** | **33,333** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| ნასესხები საშუალებები | 10 | 17,657 | 34,985 | 37,096 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება | | 1,313 | 454 | 533 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | | - | 62 | - |
| ანარიცხები | 1515 | 470 | 422 | 360 |
| სხვა ვალდებულებები | 11 | 946 | 989 | 1,031 |
| **სულ ვალდებულებები** | | **20,386** | **36,912** | **39,020** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 7,645 | 2,645 | 2,645 |
| დაუფარავი ზარალი | | (5,231) | (8,028) | (8,332) |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **2,414** | **(5,383)** | **(5,687)** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **22,800** | **31,529** | **33,333** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 15 ივნისს.

გენერალური დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

______________________________

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი აროშიძე

______________________________

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31.12.2018 დასრულებული წლისათვის | 31.12.2017 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| *საპროცენტო შემოსავალი* | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | 10,465 | 13,048 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | | 16 | 13 |
| *სულ საპროცენტო შემოსავალი* | | **10,481** | **13,061** |
| *საპროცენტო ხარჯი* | | | |
| ნასესხები სახსრები | | (4,237) | (6,412) |
| *სულ საპროცენტო ხარჯი* | | **(4,237)** | **(6,412)** |
| *წმინდა საპროცენტო შემოსავალი* | | **6,244** | **6,649** |
| სესხების გაუფასურების რეზერვი | | (1,054) | (846) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის შემდგომ** | | **5,190** | **5,803** |
| **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | |
| საკომისიო შემოსავლები | | 9,795 | 8,761 |
| ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი | | 1,667 | 1,260 |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი) | | (188) | 20 |
| სხვა მოგება | **13** | 2,238 | 280 |
| **სულ არასაპროცენტო შემოსავლები** | | **13,512** | **10,321** |
| **არასაპროცენტო ხარჯი** | | | |
| საკომისიო ხარჯი | | (107) | (176) |
| თანამშრომლების ანაზღაურება | | (10,434) | (11,486) |
| იჯარა | | (1,486) | (1,030) |
| სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი | **12** | (1,331) | (1,501) |
| ცვეთა, ამორტიზაცია | **7** | (809) | (753) |
| სხვა ზარალი | | (89) | (227) |
| **სულ არასაპროცენტო ხარჯი** | | **(14,256)** | **(15,173)** |
| **საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის დაბეგვრამდე** | | **4,446** | **951** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | **13** | (1,530) | (437) |
| **საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი** | | **2,916** | **514** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 15 ივნისს.

გენერალური დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

______________________________

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი აროშიძე

______________________________

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | 31.12.2018 დასრულებული წლისათვის | 31.12.2017 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მოგება დაბეგვრამდე | 4,446 | 951 |
| *კორექტირებები:* | | |
| ცვეთასა და ამორტიზაციაში | 809 | 753 |
| საპროცენტო შემოსავალში | (10,481) | (13,061) |
| საპროცენტო ხარჯში | 4,237 | 6,412 |
| ანარიცხები | 48 | 62 |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაში | (2,074) | - |
| საკურსო სხვაობიდან წარმოშობილ ზარალში | 188 | (20) |
| | **(2,827)** | **(4,903)** |
| *ცვლილებები:* | | |
| კლება/(მატება) კლიენტებზე გაცემულ სესხებში | (538) | 2,263 |
| კლება/(მატება) სხვა აქტივებში | 260 | 365 |
| მატება/(კლება) სხვა ვალდებულებებში | (105) | (251) |
| **საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები** | **(3,210)** | **(2,526)** |
| მიღებული პროცენტი | 9,811 | 12,580 |
| გადახდილი პროცენტი | (4,190) | (6,046) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | (281) | - |
| **(ოპერაციებში გამოყენებული)/ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები** | **2,130** | **4,008** |
| | | |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (81) | (360) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | (94) | (2) |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია | 6,792 | - |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი სახსრები** | **6,617** | **(362)** |
| **ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| დამფუძნებლების შენატანი კაპიტალში | 5,000 | - |
| ფულადი სახსრები მიღებული სესხებიდან | 57,058 | 61,011 |
| სესხების და კრედიტების გადახდა | (73,997) | (62,727) |
| გადახდილი დივიდენდები | - | (200) |
| **(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები** | **(11,939)** | **(1,916)** |
| **წმინდა მატება (კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში** | (3,192) | 1,730 |
| გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | (996) | (87) |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 6,597 | 4,954 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **2,409** | **6,597** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 15 ივნისს.

გენერალური დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი აროშიძე

## საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი) | სულ |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს** | **2,645** | **(8,332)** | **(5,687)** |
| 2017 წლის სრული შემოსავალი | - | 514 | **514** |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | (210) | **(210)** |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს** | **2,645** | **(8,028)** | **(5,383)** |
| **ფასს 9 მიღების ეფექტი** | **-** | **(119)** | **-** |
| **ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს გადაანაგარიშებული ნაშთი** | **2,645** | **(8,147)** | **(5,502)** |
| კაპიტალის შევსება | 5,000 | **-** | **5,000** |
| 2018 წლის სრული შემოსავალი | - | 2,916 | **2,916** |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | **7,645** | **(5,231)** | **2,414** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 15 ივნისს.

გენერალური დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

________________________________________

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი აროშიძე

________________________________________

## ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“ (შემდგომში „კომპანია“) 1999 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 202950226. კომპანიის იურიდიული მისამართია: პეკინის ქუჩა #33 ა, თბილისი, საქართველო. 2008 წლის 6 თებერვალს კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“) დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ისე როგორც აღნიშნულია ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარ მოვლენების ამსახველ ახსნა განმართებით შენიშვნაში კომპანია 2019 თებერვალში გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავ-მოძრავი ქონებით (ძირითადად, ძვირფასი ლითონებით და უძრავი ქონების ობიექტებით) უზრუნველყოფილი მცირე და საშუალო ზომის სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე, სავალუტო ოპერაციები და ფულადი გზავნილები.

კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები, შესაბამისად, მას არ ჰყავს დედა კომპანია. კომპანიის მაკონტროლებელ პირთა ჯგუფი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის: ბ-ნი გურამ კანდელაკი (01026011514) - 32.75%, ქ-ნი ნაზიკო კანდელაკი (01024020434) 9 %, ქ-ნი თამარ კანდელაკი (01026011515) 17 % და ბ-ნი გიორგი მამადაშვილი (01013002170) - 5 %.

### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

#### 2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ საწინააღმდეგო არ იქნება მითითებული.

## 2.2 წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩასწორება და რეკლასიფიკაცია

*ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება*

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2017 წ. (ჩასწორებული) | ჩასწორებები | 31 დეკემბერი, 2017 წ. (ჩასწორებამდე) |
|---|---|---|---|---|
| *აქტივები* | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | | 6,597 | - | 6,597 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 1 | 19,445 | (217) | 19,662 |
| ძირითადი საშუალებები | | 4,721 | - | 4,721 |
| არამატერიალური აქტივები | | 188 | - | 188 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | | 136 | - | 136 |
| სხვა აქტივები | | 442 | - | 442 |
| **სულ აქტივები** | | **31,529** | **(217)** | **31,746** |
| *ვალდებულებები* | | | | |
| ნასესხები საშუალებები | | 34,985 | - | 34,985 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება | 2 | 454 | 319 | 135 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | | 62 | - | 62 |
| ანარიცხები | | 422 | - | 422 |
| სხვა ვალდებულებები | | 989 | - | 989 |
| **სულ ვალდებულებები** | | **36,912** | **319** | **36,593** |
| *კაპიტალი* | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 2,645 | - | 2,645 |
| დაუფარავი ზარალი | | (8,028) | (536) | (7,492) |
| **სულ კაპიტალი** | | **(5,383)** | **(536)** | **(4,847)** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **31,529** | **(217)** | **31,746** |

*სრული შემოსავლის ანგარიშგება*

| | შენიშვნა | 31.12.2017 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული) | ჩასწორებები | 31.12.2017 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებამდე) |
|---|---|---|---|---|
| *საპროცენტო შემოსავალი* | | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | 13,048 | - | 13,048 |
| ფულადი სახსრები და მათი ევივალენტები | | 13 | - | 13 |
| *სულ საპროცენტო შემოსავალი* | | 13,061 | - | 13,061 |
| *საპროცენტო ხარჯი* | | | | |
| ნასესხები სახსრები | | (6,412) | - | (6,412) |
| *სულ საპროცენტო ხარჯი* | | (6,412) | - | (6,412) |
| *წმინდა საპროცენტო შემოსავალი* | | 6,649 | - | 6,649 |
| სესხების გაუფასურების რეზერვი | | (846) | (217) | (629) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის შემდგომ** | | **5,803** | **(217)** | **6,020** |
| **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | | |
| საკომისიო შემოსავლები | | 8,761 | - | 8,761 |
| ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი | | 1,260 | - | 1,260 |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი) | | 20 | - | 20 |
| სხვა შემოსავალი | | 280 | - | 280 |
| **სულ არასაპროცენტო შემოსავლები** | | **10,321** | **-** | **10,321** |
| **არასაპროცენტო ხარჯი** | | | | |
| საკომისიო ხარჯი | | (176) | - | (176) |
| თანამშრომლების ანაზღაურება | | (11,486) | - | (11,486) |
| იჯარა | | (1,030) | - | (1,030) |
| სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი | | (1,501) | - | (1,501) |
| ცვეთა, ამორტიზაცია | | (753) | - | (753) |
| სხვა ზარალი | | (227) | - | (227) |
| **სულ არასაპროცენტო ხარჯი** | | **(15,173)** | **-** | **(15,173)** |
| **საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის დაბეგვრამდე** | | **951** | **(217)** | **1,168** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | (437) | - | (437) |
| **საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი** | | **514** | **(217)** | **731** |

*ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*

| | | 31 დეკემბერი, 2017 წ. (ჩასწორებული) | ჩასწორებები | 31 დეკემბერი, 2017 წ. (ჩასწორებამდე) |
|---|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | | |
| მოგება დაბეგვრამდე | 1 | 951 | (217) | 1,168 |
| *კორექტირებები:* | | | | |
| ცვეთასა და ამორტიზაციაში | | 753 | - | 753 |
| საპროცენტო შემოსავალში | | (13,061) | - | (13,061) |
| საპროცენტო ხარჯში | | 6,412 | - | 6,412 |
| ანარიცხები | | 62 | - | 62 |
| საკურსო სხვაობიდან წარმოშობილ ზარალში | | (20) | - | (20) |
| | | **(4,903)** | **(217)** | **(4,686)** |
| *ცვლილებები:* | | | | |
| კლება/(მატება) კლიენტებზე გაცემულ სესხებში | 1 | 2,263 | 217 | 2,046 |
| კლება/(მატება) სხვა აქტივებში | | 365 | - | 365 |
| მატება/(კლება) სხვა ვალდებულებებში | | (251) | - | (251) |
| **საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები** | | **(2,526)** | **-** | **(2,526)** |
| მიღებული პროცენტი | | 12,580 | - | 12,580 |
| გადახდილი პროცენტი | | (6,046) | - | (6,046) |
| **(ოპერაციებში გამოყენებული)/ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები** | | **4,008** | **-** | **4,008** |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | (360) | - | (360) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | | (2) | - | (2) |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები** | | **(362)** | **-** | **(362)** |
| **ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან** | | | | |
| ფულადი სახსრები მიღებული სესხებიდან | | 61,011 | - | 61,011 |
| სესხების და კრედიტების გადახდა | | (62,727) | - | (62,727) |
| გადახდილი დივიდენდები | | (200) | - | (200) |
| **ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები** | | **(1,916)** | **-** | **(1,916)** |
| **წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში** | | 1,730 | - | 1,730 |
| გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | | (87) | - | (87) |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | | 4,954 | - | 4,954 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | | **6,597** | **-** | **6,597** |

***ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება***

| | შენიშვნა | 1 იანვარი, 2017 წ. (ჩასწორებული) | ჩასწორებები | 1 იანვარი, 2017 წ. (ჩასწორებამდე) |
|---|---|---|---|---|
| *აქტივები* | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | | 4,954 | - | 4,954 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | 21,708 | - | 21,708 |
| ძირითადი საშუალებები | | 4,895 | - | 4,895 |
| არამატერიალური აქტივები | | 225 | - | 225 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | | 199 | - | 199 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | | 545 | - | 545 |
| სხვა აქტივები | | 807 | - | 807 |
| **სულ აქტივები** | | **33,333** | **-** | **33,333** |
| | | | | |
| *ვალდებულებები* | | | | |
| ნასესხები საშუალებები | | 37,096 | - | 37,096 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება | 2 | 533 | 320 | 213 |
| ანარიცხები | | 360 | - | 360 |
| სხვა ვალდებულებები | | 1,031 | - | 1,031 |
| **სულ ვალდებულებები** | | **39,020** | **320** | **38,700** |
| | | | | |
| *კაპიტალი* | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 2,645 | - | 2,645 |
| დაუფარავი ზარალი | | (8,332) | (320) | (8,012) |
| **სულ კაპიტალი** | | **(5,687)** | **(320)** | **(5,367)** |
| | | | | |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **33,333** | **-** | **33,333** |

შენიშვნა 1 - კომპანიამ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოახდინა გარკვეული ჯგუფის სესხების სპეციფიკური შეფასება და მოახდინა მათზე სრული ოდენობით გაუფასურების რეზერვის შექმნა, ამის გარდა მოხდინა გარკვეული ტიპის სრულად დარეზერვებული სესხების პირდაპირ ჩამოწერა 5,708.

შენიშვნა 1 - საწარომ მოახდინა 2016 წლამდე პერიოდის გარკვეული საგადასახადო ნაშთების დაკორექტირება.

## 2.3 სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.

სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშერკულებებიდან და ფასს 9 - ფინანსური აქტივები. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი. მან პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

**ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები**

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუანგარიშებია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია წარდგენილია ბასს 39-ის შესაბამისად და არ ედრება 2018 წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციას. ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ისინი მოცემულია ქვემოთ:

**კლასიფიკაცია და შეფასება.** ფასს 9-ის მიხედვით, ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში. ამ კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „დაკრედიტების ძირითად სქემას“, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს კონვერტაციის ჩართულ ოფციონს ან „რეგრესის უფლების არმქონე სესხები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. სავალო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ინსტრუმენტები:

ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;

ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;

ინსტრუმენტები, რომლებიც იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება ბასს (IAS) 39-ის არსებული მოთხოვნებისგან.

კომპანია მოელის, რომ გააგრძელებს ამჟამად სესხებისა და მოთხოვნების სახით კლასიფიცირებული ფინანსური აქტივების შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით, რადგან ინსტრუმენტების უმრავლესობამ დააკმაყოფილა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმი.

ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით, კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ასევე სასესხო დავალიანებასა და ფინანსურ გარანტიებზე. რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ასეთ შემთხვევაში რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

**გაუფასურება.** ფასს (IFRS) 9-ის მიერ შემოღებული გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელის თანახმად, არსებობს „სამსაფეხურიანი მიდგომა“, რომელიც ეყრდნობა ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ. პრაქტიკაში ეს ახალი წესი იმას ნიშნავს, რომ საწარმოებმა მაშინვე

უნდა აღრიცხონ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლფასი ზარალი იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებზეც საკრედიტო გაუფასურება არ ფიქსირდება. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება ფასდება აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ საფუძვლიანად შეცვალა კომპანიის მიერ სესხის გაუფასურების აღრიცხვა, რადგან ბასს (IAS) 39-ით მიღებული ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით. რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. კომპანიის მიერ გამოყენებული გაუფასურების მეთოდის შესახებ ინფორმაცია განხილულია 17 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფასს (IFRS) 9-ის მიღების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მათ შორის ბასს (IAS) 39-ის მიხედვით გაწეული საკრედიტო ზარალის გაანგარიშების ფასს (IFRS) 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ჩანაცვლების ეფექტი.

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით საბალანსო ღირებულებების და ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეჯერების შედეგი ასეთია:

| საბალანსო მუხლები | 2017 წლის 31 დეკემბერი,ფასს 9-ის ჩასწორებებამდე | ცვლილების ეფექტი | 2018 წლის 1 იანვრისათვის დაკორექტირე-ბული |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 19,445 | (140) | **19,305** |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | 136 | 21 | **157** |
| **სულ აქტივები** | **19,581** | **(119)** | **19,462** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| დაუფარავი ზარალი | (7,492) | (119) | **(7,611)** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **(7,492)** | **(119)** | **(7,611)** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | **(7,492)** | **(119)** | **(7,611)** |

| | დაუფარავი ზარალი |
|---|---|
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს** | **(7,492)** |
| გაცემულ სესხებთან დაკავშირებული (ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები - გაუფასურების რეზერვის ცვლილება | (140) |
| გაუფასურების რეზერვის ცვლილებით გამოწვეული გადავადებული საგადასახადო აქტივის ცვლილება | 21 |
| **ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი** | **(7,611)** |

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით საბალანსო ღირებულებების და ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეჯერების შედეგი ასეთია:

| ფინანსური აქტივი | სესხები და დებიტორული დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის | ფასს 9 გამო ჩასწორებული | ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები 2018 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|
| *ფინანსურ აქტივში გაერთიანებული აქტივები* | | | |
| საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე | 1,101 | - | 1,101 |
| გაცემული სესხები | 19,445 | (140) | 19,305 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 314 | - | 314 |
| **სულ** | **20,860** | **(140)** | **20,720** |

ფინანსური ვალდებულება

| | სესხები და დებიტორული დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის | ფასს 9 გამო ჩასწორებული | ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები 2018 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|
| ვალდებულებები | | | |
| მიღებული სესხები | 34,985 | - | **34,985** |
| სხვა ვალდებულებები | 855 | - | **855** |
| **სულ** | **35,840** | **-** | **35,840** |

**ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

2014 წლის მაისში გამოცემული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს (IFRS) 15 განსაზღვრავს ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს, და ამიტომ არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, მათ შორის საპროცენტო შემოსავალზე, ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებიდან მიღებულ მოგებაზე/(ზარალზე), საიჯარო შემოსავალზე, რომლებზეც ვრცელდება ფასს (IFRS) 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) და ბასს (IAS) 17 (იჯარა). შედეგად, ფასს (IFRS) 15-ის მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასიკ ინტერპრეტაცია 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად**

ამ ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ამ ინტერპრეტაციას გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ბასს 40 - ის ცვლილება საინვესტიციო ქონება**

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების მიხედვით,

მიზნობრიობის ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ქონება აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს დანიშნულების შეცვლის მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განზრახვის ცვლილება არ წარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. მოცემულ ცვლილებას გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 2.4 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ათას ლარში თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

## 2.5 სამართლიანი ღირებულება.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება: აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიპოვება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

## 2.6 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები დაუყოვნებლივრეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილების მოგება-ზარალში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარების მომენტში, კომპანია სხვაობას აღიცხავს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება, როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძვლით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშვება იმ ფაქტორის (მათ შორის, დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

## 2.7 კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: შემდომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად; რეალური ღირებულებით შეფასებულად, ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა.

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შემდომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში ასახვით აქტივებისა:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა კლასიფიცირდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულების ცლილების ასახვით სხვა სრულ შემოსავალში, აღიარდენა რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მხოლოდ შემდომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულად:

| ფინანსური აქტივები | ბიზნეს მოდელი | მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განმარტება | შეფასების კატეგორია |
|---|---|---|---|
| სალარო და ნაშთი ბანკებში | სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი | ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს | ამორტიზებული ღირებულება |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი | ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს | ამორტიზებული ღირებულება |
| სხვა დებიტორული დავალიანება | სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი | ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს | ამორტიზებული ღირებულება |

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ახდენდა მისი ფინანსური აქტივების სესხებად და მისაღებ თანხებად (ამორტიზებული ღირებულება) კლასიფიცირებას.

<u>ბიზნეს-მოდელის შეფასება</u>

კომპანია ახდენს ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ცალკეული პორტფელის დონეზე, ვინაიდან ამ სახით საუკეთესოდ აისახება კომპანიაში დანერგილი ბიზნესის მართვისა და ინფორმაციის მენეჯმენტისთვის წარდგენის მეთოდები. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი კომპანიის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს მოდელზე (და ამ ბიზნეს მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

<u>შეფასება, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას</u>

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს შეფასება მოიცავს იმის

შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, იმდაგვარად რომ დაირღვეს შესაბამისობა ამ შესაბამისობა ამ პირობთან. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდბს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ სახელშეკრულებო განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს;
- დაპირობებს, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიციკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირებაც არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია საბუღალტრო/სააღრიცხვო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

## 2.8 გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარაალისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

გარდა შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (იწოდება, როგორც 1-ლი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხის არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე (იწოდება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანასური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომლებიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა სესხის არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც ახლანდელი ღირებულება სხვაობისა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებასა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის გათვალოსწინებით დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურად სესხების ისეთი პორტფელებისთვის, რომელთაც ეკონომიკური რისკების მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის შესახებ მოცემულია 17-ე შენიშვნაში ფინანსური რისკების მართვაში, სადაც მოყვანილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

## 2.9 საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით

გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამცემი, მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის იდენტიფიცირება და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება შეიძლება რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით.

სესხი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუ კი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განმარტება იხილეთ 17-ე შენიშვნა - ფინანსური რისკების მართვაში.

## 2.10 საკრედიტო რისკით გაუფასურებელი შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური და აქტივები

საკრედიტო რისკით გაუფასურებელ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსური აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის კომპანია სესხის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ყველა ცვლილებას აღიარებს, როგორც გაუფასურების ზარალს ან მოგებას პირდაპირ მოგება - ზარალის ანგარიშგებაში აღიარებით.

## 2.11 საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

კომპანია ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, კომპანია გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ იყენებს იმის დაშვებას, რომ «დაბალი» საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების დღეს არ უნდა აღინიშნებოდეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, კომპანია ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

იმის განსაზღვრისას, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ადარებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის რისკს ანგარიშგების დღეს და აღიარების დღეს ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის საფუძველზე. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია მოცემულ ვითარებაში. ასეთ ინფორმაციაში შედის: კომპანიის ისტორიული გამოცდილება და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია შეუსაბამოდ მაღალი ხარჯებისა და ზედმეტად დიდი მცდელობის გარეშე.

დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკის შეფასებასთან დაკავშრებით მოცემულია 17-ე შენიშვნა - ფინანსური რისკების მართვაში.

## 2.12 ჩამოწერა

სესხებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების ჩამოწერა ხდება, როდესაც კომპანიას არ აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება. ეს ზოგადად არის შემთხვევა, როდესაც კომპანია განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლებიც შეძლებენ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოწერისთვის განკუთვნილი

თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება, შესაძლოა კვლავ იყოს კომპანიის აღსრულების პროცედურები საგანი, ასეთი პროცედურების შედეგად მიღებული ამონაგები გმოიწვევს გაუფასურების კორექტირებას/მოგებას.

## 2.13 გაცემულია სესხები და მისაღები ანგარიშები.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

## 2.14 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

| | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 20 |
| კომპიუტერული ტექნიკა | 5; 10 |
| საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი | 5; 10 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 |

## 2.15 არამატერიალური აქტივები.

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 7 წლის გაანგარიშებით.

## 2.16 მოგების გადასახადი.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ

საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძვნება მოქმედი, ან სააანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძვნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად სააანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

## 2.17 ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

## 2.18 საოპერაციო იჯარა - კომპანია, როგორც მოიჯარე.

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

## 2.19 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან

მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

### 2.20 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

### 2.21 ნასესხები საშუალებები.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

### 2.22 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

### 2.23 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც სამართლიანი ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი და 1 ევრო = 3.0701 (2017 წლის 31 დეკემბრისთვის: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი და 1 ევრო = 3.1044 ლარი).

### 2.24 საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ

განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა.

### 2.25 სხვა მომსახურების გაწევიდან ამონაგების აღიარება.

გაყიდული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ისა და ფასდათმობის გარეშე.

### 2.26 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

### 2.27 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

### 2.28 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

### 2.29 მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.

კომპანია გამოიმუშავებს სხვა და სხვა ტიპის მომსახურებაზე საკომისიოს, რომელთა აღიარებაც ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინასნურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

### 3.1 საპროგნოზო სცენარების დადგენა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დამატებითი ინფორმაცია იხ. 17-ე შენიშვნაში.

### 3.2 დეფოლტის ალბათობა:

დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

დამატებითი ინფორმაცია იხ. 17-ე შენიშვნაში.

### 3.3 ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხ. 17-ე შენიშვნაში.

### 3.4 გადავადებული მოგებიდან გადასახადის აქტივის აღიარება.

აღიარებული გადავადებული მოგებიდან გადასახადის აქტივი წარმოადგენს მოგების გადასახადს, რომლის აღდგენა ხდება დასაბეგრი მოგებიდან მომავალი გამოქვითების გზით, და აისახება ბალანსში. კომპანიის ხელმძღვანელობამ განსჯის საფუძველზე განსაზღვრა გადავადებული საგადასახადო აქტივის ოდენობა, რომელიც აღიარებული იქნა კომპანიის მიერ. გადავადებული მოგებიდან გადასახადის აქტივის ასახვა ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია მასთან დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზება. მომავალი საგადასახადო მოგება და საგადასახადო სარგებლის მოცულობა, რომელთა მიღებაც სავარაუდოა მომავალში, ეფუძვნება საშუალოვადიან ბიზნეს გეგმას, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობამ მოამზადა და მასზე დაყრდნობით მოახდინა შედეგების ექსტრაპოლაცია.

## 4. სააღრიცხვო პოლიტიკაში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილება

**ახალი ან გადასინჯული სტანდარტი და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და არც წინსწრებით დანერგილია**

**ფასს (IFRS) 16 იჯარა**

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

კომპანია სტანდარტში ძალაში შესვლამ აქვს ოპერაციული იჯარებით აღებული ქონება თუმცა მას არ შეუფასებია სტანდარტში ძალაში შესვლამ რა ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

## 5. ფულადი სახსრები და მათი ევვივალენტები

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| ნაღდი ფული | 1,751 | 5,496 | 4,048 |
| საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე | 658 | 1,101 | 906 |
| **სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები** | **2,409** | **6,597** | **4,954** |

## 6. კლიენტებზე გაცემული სესხები

| | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|
| ძირი თანხა | 19,825 | 26,017 |
| დარიცხული პროცენტი | 137 | 1,305 |
| გაუფასურების რეზერვის ანარიცხები | (517) | (5,614) |
| **სულ კლიენებზე გაცემული სესხები (ნეტო)** | **19,445** | **21,708** |

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2018 წლის 1 იანვარი ფასს 9 მოთხოვნების მიხედვით რეკლასიფიცირებული |
|---|---|---|
| ძირი თანხა | 20,310 | 19,825 |
| დარიცხული პროცენტი | 252 | 137 |
| გაუფასურების რეზერვის ანარიცხები | (719) | (657) |
| **სულ კლიენებზე გაცემული სესხები (ნეტო)** | **19,843** | **19,305** |

უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით კლიენტებზე გაცემული სესხები მოცემულია ქვევით:

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| ოქროთი და ძვირფასეულობით | 5,743 | 6,291 | 11,029 |
| არაუზრუნველყოფილი/საბლანკო | 14,819 | 13,671 | 16,293 |
| **სულ კლიენებზე გაცემული სესხები** | **20,562** | **19,962** | **27,322** |

სალომბარდე სესხების ფარგლებში უზრუნველყოფაში აღებული ოქროს ღირებულებების შესახებ ცხრილი მოცემულია ქვევით. შეფასება განხორციელებულია კომპანიის შიდა მეთოდოლოგიით:

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| გირვანობის ფარგლენში მიღებული ოქროთი ღირებულება: | | |
| მათ შორის ბანკი გადაგირავებული | 5.821 | 7,085 |
| მათ შორის რომელიც არ არის გადაგირევებული | 4,117 | 2,046 |
| **სულ კლიენებზე გაცემული სესხები** | **9,938** | **9,131** |

საეჭვო მოთხოვნების მოძრაობა შემდეგია:

2017 წლის 31 დეკემბრისათვის:

| | ოქროთი და ძვირფასეუ-ლობით | უძრავი ქონებით | სხვა მოძრავი ქონებით | არაუზრუნველყოფილი/ საბლანკო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| საეჭვო ვალი წლის დასაწყისში | 2,018 | - | 185 | 3,536 | **5,739** |
| გაუფასურების ხარჯი (აღდგენა) | - | - | - | - | **(826)** |
| ჩამოწერა | - | - | - | - | **814** |
| **საეჭვო ვალი წლის ბოლოს** | **547** | **69** | **298** | **4,793** | **5,707** |

2018 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

| საეჭვო ვალების რეზერვი | ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრამდე ფასს 9 გადასვლამდე** | | | | 517 |
| **ბალანსი 2018 წლის 1 იანვრისათვის** | **427** | **84** | **146** | **657** |
| წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები | | | | **(3,207)** |
| ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა | | | | **2,215** |
| საკრედიტო რისკით გამოწვეული | | | | **1,054** |
| **ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის** | **452** | **121** | **146** | **719** |

| საეჭვო ვალების რეზერვი | ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრამდე ფასს 9 გადასვლამდე** | | | | 517 |
| **ბალანსი 2018 წლის 1 იანვრისათვის** | **427** | **84** | **146** | **657** |
| ახალი გაცემული სესხები | 1,247 | - | - | **1,247** |
| გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე | (262) | 262 | - | **-** |
| გადატანა მეორიდან მესამე ეტაპზე | - | (145) | 145 | **(0)** |
| დაფარული სესხები | (1,191) | - | - | **(1,191)** |
| წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები | - | - | (3,207) | **(3,207)** |
| ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა | - | - | 2,215 | **2,215** |
| საკრედიტო რისკით გამოწვეული სხვაობები | 231 | (80) | 847 | **998** |
| **ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის** | **452** | **121** | **146** | **719** |

2018 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

| საეჭვო ვალების რეზერვი | ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ბალანსი 2018 წლის 1 იანვრისათვის** | **19,064** | **700** | **199** | **19,963** |
| ახალი გაცემული სესხები | 178,194 | - | - | **178,194** |
| გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე | (3,642) | 3,642 | - | **-** |
| გადატანა მეორიდან მესამე ეტაპზე | - | (3,207) | 3,207 | |
| დაფარული სესხები | (174,052) | (334) | | **(174,386)** |
| წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები | - | - | (3,207) | **(3,207)** |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობა | (1) | - | - | **(1)** |
| **ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის** | **19,563** | **800** | **199** | **20,562** |

კომპანიას ბალანსისდან ჩამოწერილი და აღრიცხავს გარესაბალანსო ანგარიშებზე 6,699 და 5,707 ლარის სესხებს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს შესაბამისად. ეს სესხები ექვემდებარება აღსრულების პროცედურებს.

7. ძირითადი საშუალებები

| | შენობა-ნაგებობები | საოფისე მოწყობი-ლობები | სატრანსპორ-ტო საშუალებები | ავეჯი და მოწყობილო-ბები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | | |
| **2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **3,045** | **1,647** | **666** | **436** | **5,794** |
| შეძენა | 169 | 481 | 108 | 142 | **900** |
| გასვლა | (56) | (368) | (113) | (100) | **(637)** |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,158** | **1,760** | **661** | **478** | **6,057** |
| შეძენა | 25 | 20 | 108 | 5 | **158** |
| გასვლა | (3,108) | (1,780) | (769) | (483) | **(6,140)** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **75** | **-** | **-** | **-** | **75** |
| **ცვეთა:** | | | | | |
| **2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **250** | **386** | **103** | **160** | **899** |
| პერიოდის ცვეთა | 157 | 301 | 145 | 111 | **714** |
| გასულის ცვეთა | (7) | (167) | (57) | (46) | **(277)** |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **400** | **520** | **191** | **225** | **1,336** |
| პერიოდის ცვეთა | 160 | 320 | 172 | 116 | **768** |
| გასულის ცვეთა | (547) | (840) | (363) | (341) | **(2,091)** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **13** | **-** | **-** | **-** | **13** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება:** | | | | | |
| **2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **2,795** | **1,261** | **563** | **276** | **4,895** |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,758** | **1,240** | **470** | **253** | **4,721** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **62** | **-** | **-** | **-** | **62** |

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიას იპოთეკით დატვირთული აქვს თავისი შენობა-ნაგებობები ნარჩენი ღირებულებებით: 2,282 და 2,465 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ხსნა-განმარტებით შენიშვნა ნომერ 10-ში - სესხები.

## 8. არამატერიალური აქტივები

| | არამატერიალური აქტივები | სულ |
|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | |
| **2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **258** | **258** |
| შეძენა | 2 | **2** |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **260** | **260** |
| შეძენა | 94 | **94** |
| გასვლა | (89) | **(89)** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **265** | **265** |
| **ამორტიზაცია:** | | |
| **2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **33** | **33** |
| პერიოდის ამორტიზაცია | 39 | **39** |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **72** | **72** |
| პერიოდის ამორტიზაცია | 41 | **41** |
| გასულების ამორტიზაცია | (37) | **(37)** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **76** | **76** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება:** | | |
| **2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **225** | **225** |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **188** | **188** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **189** | **189** |

## 9. სხვა აქტივები

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| ზარალის კომპანსაციის მიზნით თანამშრომელზე გაცემული სესხები (ნეტო) | - | 100 | 302 |
| გირაოს რეალიზაციიდან წარმოშობილი დებიტორები | - | 154 | 245 |
| გადახდილი ავანსები | 53 | 60 | 157 |
| საოფისე ინვენტარი | 11 | 14 | 30 |
| სხვა აქტივები | 118 | 114 | 73 |
| **სულ სხვა აქტივები** | **182** | **442** | **807** |

თანამშრომელზე გაცემული სესხების უზრუნველყოფის სახით კომპანიას დატვირთული აქვს ამ ფიზიკური პირების უძრავი ქონება იპოთეკით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს სესხები გაუფასურებელია 199 ოდენობით და წარდგენილია განეტებულად.

## 10. ნასესხები საშუალებები

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| **ვადიანი გრძელვადიანი სესხები** | | | |
| სესხები კომერციული ბანკებიდან | - | 640 | 1,899 |
| **ვადიანი მოკლევადიანი სესხები** | | | |
| სესხები ფიზიკური პირებიდან | 12,516 | 26,334 | 22,284 |
| სესხები იურიდიული პირებიდან | 1,644 | 2,627 | 5,161 |
| სესხები კომერციული ბანკებიდან | 3,417 | 5,183 | 7,516 |
| გადასახდელი პროცენტები | 80 | 201 | 236 |
| **სულ ნასესხები საშუალებები** | **17,657** | **34,985** | **37,096** |

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| სესხები დაფარვის გრაფიკები | | | |
| 1 წლის განმავლობაში | 17,657 | 34,345 | 35,196 |
| 1-იდან 3-წლამდე პერიოდში | - | 640 | 1,260 |
| 3 წლის შემდეგ | - | - | 640 |
| **სულ ნასესხები საშუალებები** | **17,657** | **34,985** | **37,096** |

სესხები ნომინირებულია ქვემოთ მოცემულ ვალუტებში:

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| ლარში | 12,199 | 10,654 | 15,771.00 |
| აშშ დოლარში | 5,458 | 24,331 | 21,325 |
| **სულ ნასესხები საშუალებები** | **17,657** | **34,985** | **37,096** |

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **ლარში** | | |
| სესხები კომერციული ბანკებიდან | 14%-14.90% | ცვალებადი 4 %, 6 % +რეფინანსირების განაკვეთი (მინიმუმ 7.85 % და მაქსიმუმ 25 %), ფიქსირებული 13 % -16% |
| სესხები ფიზიკური პირებიდან | 15% | 15%-24% |
| სესხები იურიდიული პირებიდან | 10%-18% | 20%-24% |
| **აშშ დოლარში** | | |
| სესხები კომერციული ბანკებიდან | - | |
| სესხები ფიზიკური პირებიდან | 7% | 12% -18% |
| სესხები იურიდიული პირებიდან | 7% | 15%- 18 % |
| **სულ ნასესხები საშუალებები** | | |

2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიას იპოთეკით დატვირთული აქვს თავისი შენობა-ნაგებობები ნარჩენი ღირებულებებით: 2,282 და 2,465 შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით სს თიბისი ბანკის სესხების ნაწილი უზრუნველყოფილი იყო კომპანიის დამფუძნებლებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირადი თავდებობით.

კომპანიას სესხების უზრუნველყოფის მიზნით გადაგირავებული ბანკებში სალომბარდე სესხების ფარგლებში გირაოში მიღებული ოქრო და ძვირფასეულობა. შეფასება განხორციელებულია კომპანიის შიდა მეთოდოლოგიით:

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მათ შორის ბანკი გადაგირავებული | 5.821 | 7,085 |

## 11. სხვა ვალდებულებები

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| მიღებული ავანსები | 561 | 391 | 433 |
| ვალდებულებები პერსონალის წინაშე | 294 | 462 | 416 |
| სხვა ვალდებულებები | 91 | 136 | 182 |
| **სულ სხვა ვალდებულებები** | **946** | **989** | **1,031** |

## 12. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|
| ტრანსპორტის ხარჯები | 321 | 357 |
| კომუნიკაციის ხარჯები | 112 | 129 |
| სასამართლოს ხარჯები | 144 | 128 |
| კომუნალური ხარჯები | 118 | 118 |
| საგადასახადო ხარჯები | 157 | 115 |
| გადახდილი ჯარიმები და საურავები | 33 | 100 |
| რემონტის ხარჯები | 16 | 73 |
| საკანცელარიო ხარჯები | 67 | 66 |
| დაცვის ხარჯები | 60 | 60 |
| ქონების დაზღვევის ხარჯები | 27 | 59 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 5 | 44 |
| საკონსულტაციო ხარჯები | 24 | 34 |
| რეკლამის ხარჯები | 40 | 22 |
| მივლინების ხარჯები | 31 | 19 |
| საფოსტო ხარჯები | 36 | 19 |
| აუდიტორული მომსახურების ხარჯები | 28 | 11 |
| ტრეინინგის ხარჯები | - | 6 |
| სხვა ხარჯები | 112 | 141 |
| **სულ სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი** | **1,331** | **1,501** |

## 13. სხვა არასაოპერაციო მოგება

| | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|
| შემოსავლები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | 2,074 | 178 |
| სხვა შემოსავლები | 164 | 102 |
| **სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი** | **2,238** | **280** |

## 14. მოგების გადასახადი

*(ა) მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები*

მოგება-ზარალში ასახული მოგების გადასახადი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

| | 2018 | 2017 |
|---|---|---|
| მიმდინარე გადასახადის ხარჯი | 1,488 | 374 |
| გადავადებული გადასახადის ხარჯი (შეღავათი) | 42 | 63 |
| **სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი** | **1,530** | **437** |

*(ბ) საგადასახადო ხარჯის და მოგება-ზარალის შეჯერება გამრავლებული შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე*

კომპანიის შემოსავლის ძირითადი ნაწილის მოგების გადასახადის განაკვეთი 2018 წელს გახლდათ 15% (2017: 15%). მოსალოდნელი და ფაქტიური საგადასახადო ხარჯების შეჯერება მოცემულია ქვემოთ.

| | 2018 | 2017 |
|---|---|---|
| **მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე** | **4,446** | **951** |
| თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონით განსაზღვრული 15%-იანი განაკვეთით | 667 | 143 |
| საგადასახადო გავლენა არაგამოქვითად ხარჯებზე | 863 | 294 |
| **სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი** | **1,530** | **437** |

*(გ) დროებითი განსხვავებების მიხედვით გაანალიზებული გადავადებული გადასახადი*

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

დროებითი განსხვავებების გავლენა გადასახადების თვალსაზრისით 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

| | 31 დეკემბრისათვის 2018 წ. | მოგება-ზარალზე (დარიცხული) დაკრედიტებული | 01 იანვრისათავის 2018 წ. ფასს 9 გადასვლის მიზნით |
|---|---|---|---|
| გამოქვითვადი/(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო გავლენა | | | |
| ძირითადი საშუალებები | (9) | 98 | (107) |
| არამატერიალური აქტივები | (28) | (22) | (6) |
| საეჭვო ვალების რეზერვი | 108 | (93) | 201 |
| გაუცემელი ხელფასი | 44 | (25) | 69 |
| ნეტო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | 115 | (42) | 157 |

| | 01 იანვრისათავის 2018 წ. ფასს 9 გადასვლის მიზნით | მოგება-ზარალზე (დარიცხული) დაკრედიტებული | 31 დეკემბერი 2017 წ. |
|---|---|---|---|
| გამოქვითვადი/(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო გავლენა | | | |
| ძირითადი საშუალებები | (107) | - | (107) |
| არამატერიალური აქტივები | (6) | - | (6) |
| საეჭვო ვალების რეზერვი | 201 | 21 | 180 |
| გაუცემელი ხელფასი | 69 | - | 69 |
| ნეტო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | **157** | **21** | **136** |

დროებითი განსხვავებების გავლენა გადასახადების თვალსაზრისით 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

| | 31 დეკემბერი 2017 წ. | მოგება-ზარალზე (დარიცხული) დაკრედიტებული | 31 დეკემბერი 2016 წ. |
|---|---|---|---|
| გამოქვითვადი/(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო გავლენა | | | |
| ძირითადი საშუალებები | (107) | 161 | (268) |
| არამატერიალური აქტივები | (6) | 10 | (16) |
| საეჭვო ვალების რეზერვი | 180 | (241) | 421 |
| გაუცემელი ხელფასი | 69 | 7 | 62 |
| ნეტო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | **136** | **(63)** | **199** |

## 15. ანარიცხები

კომპანიის მიერ შექმნილი ანარიცხები ეხება საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ ანარიცხებს მათი მოძრაობის ამსახველი ცხრილი მოცემულია ქვემოთ.

| | 2018 | 2017 |
|---|---|---|
| **საგადასახადო ანარიცხები წლის დასაწყისში** | **422** | **360** |
| წლის განმავლობაში დამატებითი დარიცხვა | 48 | 62 |
| **საგადასახადო ანარიცხები წლის ბოლოს** | **470** | **422** |

## 16. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

***სამართლებრივი პროცედურები.*** პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

***ვალდებულება.*** კომპანიას ნაკისრი აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთა ჯამური მონაცემები მომავალი პერიოდის მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

| | 31.12.2017 | 31.12.2016 |
|---|---|---|
| 1 წელში | 2,026 | 931 |
| 1-3 წელში | 811 | 743 |
| 3-6 წელში | 439 | 594 |
| 6 წლის შემდეგ | 75 | 359 |
| **სულ** | **3,351** | **2,627** |

***საგადასახადო კანონმდებლობა.*** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. საკუთარი შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ აღიარებული ანარიცხების გარდა სხვა მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას.

## 17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

***საკრედიტო რისკი.***

საკრედიტო ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ სესხების გაცემისას და სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

| | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| გაცემული სესხები | 19,843 | 19,445 | 21,708 |
| გირაოს რეალიზაციით წარმოშობილი დებიტორები | - | 154 | 245 |
| თანამშრომელზე გაცემული სესხები ზარალის კომპანსაციის მიზნით | - | 100 | 302 |
| საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი საშუალებები | 658 | 1,101 | 906 |
| **სულ** | **20,501** | **20,800** | **23,161** |

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში.

უძრავი და მოძრავი ქონებით უზრუნველყოფის სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და აანალიზებს კომპანიის საკრედიტო დეპარტამენტი. თუ განაცხადს დაამტკიცებს საკრედიტო განყოფილება, გაიცემა სესხი, რომლის თანხაც არ არის მიბმული ჩადებული ქონების ღირებულების გარკვეულ პროცენტზე.

სალომბარდო სესხის შემთხვევაში, თუ მსესხებელი 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია იწყებს უზრუნველყოფის რეალიზაციის პროცედურებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება. ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მაქსიმალური საკრედიტო რისკის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვევით პარაგრაფში.

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რეიტინგის შიდა სისტემა, რომ შეაფასოს კლიენტებზე გაცემული არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული სესხების საკრედიტო ხარისხი. კომპანია ფლობს ფულადის სახსრების ეკვივალენტებს ბანკებში, რომლებსაც მიიჩნევს მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონედ.

**2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაუფასურების შეფასება (კოლექტიურად შეფასებული რეზერვები).** სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირითადი თანხის ან პროცენტის დაფარვის ვადაგადაცილება (ან, სალომბარდო სესხების შემთხვევაში, დაფარვის თავდაპირველ ვადაზე მეტად გადავადებული), ან არის თუ არა ცნობილი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში რამე სირთულის არსებობის შესახებ ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი. კომპანია რეზერვებს აფასებს მხოლოდ კოლექტიურად, რადგან მას არ აქვს ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხები.

კლიენტებზე გაცემულ სესხებზე დანაკარგების რეზერვები კოლექტიურად ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად. მსგავსი საკრედიტო რისკის პროფილის მქონე სესხების ჯგუფებს კომპანია განსაზღვრავს პროდუქტის და ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საეჭვო ვალების რეზერვის მონაცემებს ვადაგადაცილებული სესხების და უზრუნველყოფის სახეების მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციას ხანდაზმულობის სტატუსით და უზრუნველყოფის სახეების მიხედვით.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის:

| | ვადიანი სესხები | 30 დღემდე ვადაგა-დაცილე-ბა | 30-60 დღე ვადაგა-დაცილე-ბა | 60-90 დღე ვადაგა-დაცილ-ება | 90-180 დღე ვადაგა-დაცილე-ბა | 180 დღეზე მეტი ვადაგა-დაცილე-ბა | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოქროთი და ძვირფასეულობით | 4,817 | 1,458 | - | 4 | 12 | - | **6,291** |
| არაუზრუნველყოფილი | 13,565 | 63 | 8 | 3 | 14 | 19 | **13,672** |
| **სულ კლიენებზე გაცემული სესხები** | **18,382** | **1,521** | **8** | **7** | **26** | **19** | **19,962** |

2017 წლის 1 იანვრისთვის:

| | ვადიანი სესხები | 30 დღემდე ვადაგად აცილება | 30-60 დღე ვადაგად აცილება | 60-90 დღე ვადაგად აცილება | 90-180 დღე ვადაგად აცილება | 180 დღეზე მეტი ვადაგად აცილება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოქროთი და ძვირფასეულობით | 7,652 | 580 | 555 | 267 | 661 | 1,314 | **11,029** |
| არაუზრუნველყოფილი | 10,900 | 1,361 | 413 | 390 | 1,046 | 2,183 | **16,293** |
| **სულ კლიენებზე გაცემული სესხები** | **18,552** | **1,941** | **968** | **657** | **1,707** | **3,497** | **27,322** |

**2018 წლის 1 იანვრიდან გაუფასურების პოლიტიკა.** 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ დანერგა ფასს - 9 ფინანსური ინსტრუმენტები და ამ სტანდარტით განსაზღვრული გაუფასურების პოლიტიკა. ამ მიზნიტ კომპანიას შემუშავებული აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის პოლიტიკა. პოლიტიკის ძირიტადი დეტალებ მოცემულია ქვემოთ:

**დეფოლტი განმარტება -** ნიშნავს ფინანსურ მდგომარეობას, როდესაც მოვალეს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ვალის დაფარვის იურიდიული ვალდებულება, როგორც ძირი თანხის ასევე პროცენტის. როგორც წესი სესხის 91 დღიანი ვადაგადაცილება (61 დღიანი ყოველდღიური გადახდის გრაფიკით სესხებისათვის) ავტომატურად ნიშნავს დეფოლტს. თუმცა ცალკეულ შემტხვევაში კომპანია ითვალისწინებს რიგი ხარისხობრივი ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლია დააჩქარონ დეფოლტის სტატუსი. მაგალითად:

- მსესხებლის სექტორის პირობების არახელსაყრელი ცვლილება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მსესხებლის გადახდისუუნარობა;
- საკანონმდებლო აკრძალვები, რომლებიც წარმოშობენ ბიზნესის შეწყვეტის საშიშროებას;
- თაღლითობა, რომელიც იწვევს ბიზნესის პარალიზებას;
- სასოფლო სამეურნეო საწარმოში მიღებული მასშტაბური ზარალი;
- მსესხებლის გარდაცვალება;
- რესტრუქტურიზაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური ზარალის წარმოშობასთან;
- ვალდებულებებისათვის თავის არიდების გამო საცხოვრებელი ადგილის ცვლილება (საზღვარგარეთ წასვლა);

**პორტფელი სეგმენტაცია.** მოსალოდნელი საკრედიტო რისკის გაანგარიშების მიზნით კომპანიას პორტფელი დაყოფილი აქვს შემდეგ სეგმენტებად:

- ბიზნეს სესხი - მომხმარებელი ყოველდღიური შემოსავლით და შესაბამისად ყოველდღიური გადახდის გრაფიკით;
- საკრედიტო ხაზი;
- ბიზნეს სესხი - მომხმარებელი ყოველთვიური შემოსავლით და შესაბამისად ყოველთვიური გადახდის გრაფიკით;

- ლომბარდული სესხი;
- სამომხმარებლო სესხი - ნებისმიერი, გარდა ბიზნეს, სალომბარდო და აგრო მიზნობრიობისა;
- აგრო სესხი - სასოფლო-სამეურნეო მიზნობრიობა;

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რეზერვის გაანგარიშების გამოყენებული სტადიები.** პირველი სტადიის საკრედიტო ზარალი (12 თვიანი ECL) - იმ აქტივებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

ეს ზარალი აღიარდება იმ აქტივებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. საკრედიტო ზარალი ამ სტადიის სესხებისათვის აღიარდება სესხის მომავალი პერიოდის 12- თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

მეორე სტადიის საკრედიტო ზარალი - ეს ზარალი აღიარდება იმ აქტივებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სესხებისათვის ქვემოტ მოცემული დაგვიანების სტატუსი წარმოადგენს რაოდენობრივ ინდიკატორს მერე სტადიაში ტრანსფორმირეისათვის:

| სეგმენტი | ვადაგადაცილების სტატუსი |
|---|---|
| ბიზნეს სესხი(ყოველდღიური გადახდის გრაფიკით) | 15 დღიანი ვადაგადაცილება |
| საკრედიტო ხაზი | 30 დღიანი ვადაგადაცილება |
| ბიზნეს სესხი (ყოველთვიური გადახდის გრაფიკით) | 30 დღიანი ვადაგადაცილება |
| ლომბარდული ტიპის სესხი | 30 დღიანი ვადაგადაცილება |
| სამომხმარებლო სესხი | 30 დღიანი ვადაგადაცილება |
| აგრო სესხი | 30 დღიანი ვადაგადაცილება |

მერე სტაფიაკი კლასიფიცირების ხარისხობრივი კრიტერიუმებია:

- ბიზნესის ბრუნვის მნიშვნელოვანი შემცირება, რომელიც მოქმედებს მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე;
- საკანონმდებლო მსუბუქი ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე;
- სესხის რესტრუქტურიზაცია ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- მსესხებლის მიერ სამსახურის დაკარგვა/ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდაცია;
- სამართლებრივი დავები და მასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები.

თუ ხარისხობრივი ინდიკატორის საფუძველზე თავდაპირველი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად გაზრდილია საკრედიტო რისკი, სესხის გადაყვანა ხდება მეორე სტადიაში სპეციალურად შექმნილ კატეგორიაში “Watch list”, რომელსაც დეფოლტის ალბათობა ენიჭება ექსპერტულად.

საკრედიტო ზარალი ამ სტადიის სესხებისათვის აღიარდება სესხის არსებობის მანძილზე საკრედიტო ზარალის ოდენობით.

მესამე სტადიის საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების ზარალი - წარმოადგენს ფინანსურ აქტივებზე უკვე დამდგარ ზარალს, რომელიც წარმოიშობა კომპანიის პოლიტიკით გაწერილი ერთი ან მეტი დეფოლტის მოვლენის დადგომისას.

**დეფოლტის ალბათობა (PD).** დეფოლტის ალბათობა ასახავს დეფოლტის მოხდენის შესაძლებლობას, რომელიც მოსალოდნელია, რომ ფინანსურ ინსტრუმენტებზე გამოიწვევს საკრედიტო ზარალს. დეფოლტის ალბათობა ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების მაჩვენებლებს. კომპანია ახდენს მაჩვენებლების იდენტიფიკაციასა და დოკუმენტირებას მონაცემების ისტორიული ანალიზისთვის და აფასებს მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენას დეფოლტის ალბათობაზე.

1-ლი სტადიის სესხებისათვის, PD ასახავს იმ დეფოლტის მოვლენების ალბათობას, რომლებიც შესაძლოა მოხდეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

მე-2 სტადიის სესხებისათვის PD ასახავს ყველა დეფოლტის მოვლენების ალბათობას, რომლებიც შესაძლოა მოხდეს რისკის პოზიციის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი დეფოლტის ალბათობის ძირითადი მაჩვენებლები, ფინანსური აქტივების სხვადასხვა პორტფელში გამოვლენილი იქნა ისტორიული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით. PD-ის გაანგარიშება ხორციელდება პორტფელში არსებული სასესხო პროდუქტების ჭრილში დაყოფილი სეგმენტების მიხედვით, მიგრაციის მატრიცების გამოყენებით ისტორიული მონაცემებზე დაყრდნობით.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD). LGD არის სავარაუდო ზარალის მასშტაბი დეფოლტის შემთხვევაში. აღნიშნული პარამეტრი გამოითვლება სტატისტიკურად გადეფოლტებული სესხების ამოღებების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით. LGD-ს კალკულაცია სრულდება ამოღებების დისკონტირებული პროცენტული მაჩვენებლის (ამოღებული თანხა შეფარდებული მთლიან გადეფოლტებულ თანხასთან და დისკონტირებული შესაბამისი ამოღების პერიოდის მიხედვით) საფუძველზე. საშუალოდ შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს დისკონტის განაკვეთს. დაანგარიშება ხორციელდება მინიმუმ სამი წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

კომპანიამ ჩაატარა ანალიზი მაკროეკონომიკური ინფორმაციის მიგრაციის მატრიცებით დათვლილ დეფოლტის განაკვეთებში ასახვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. კომპანიამ ჩაატარა კორელაციური ანალიზი, რის შედეგადაც ორი კვარტლის ჩამორჩენით დათვლილმა მშპ-ს ზრდამ აჩვენა ყველაზე მაღალი კორელაციის კოეფიციენტი ისტორიულ დეფოლტის განაკვეთებთან, შედეგს გააჩნდა ეკონომიკური აზრიც. თუმცა, ისტორიული დეფოლტის შემთხვევების რაოდენობის სიმცირის და არასტაბილური TTC (Through the Cycle) PD-ების გამო, მაკროეკონომიკური პროგნოზებით კორექტირება არ ჩაითვალა გონივრულად.

**დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD).** EAD წარმოადგენს მოსალოდნელ დაუფარავ რისკის პოზიციას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს იმ პერიოდში, რომელშიც გათვალისწინებულია დეფოლტი. EAD წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. დეფოლტის მომენტად EAD-ის მიზნებისთვის მიჩნეულია წლის შუა პერიოდი.

კომპანია ანგარიშობს EAD-ს მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. EAD-ს გამოსათვლელად გაითვალისწინება პორტფელის გრაფიკით გათვალისწინებული დაფარვები - ძირი თანხა და პროცენტი.

**საკრედიტო რისკების კატეგორიები (რეიტინგები)** კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობისა და მსესხებლის ტიპიდან გამომდინარე.

ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებლზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. სესხის გაცემა განისაზღვრება წინასწარ შემუშავებული საკრედიტო ქულაზე დაყრდნობით, რაც შემდგომ აისახება სესხისთვის მისანიჭებელ კატეგორიაზე.

გასაცემი სესხის კატეგორიები:

A > 88 ქულა
B > 82-87 ქულა
C > 71-81 ქულა
კატეგორიები დავალიანების შემთხვევაში:

დღიური გადახდის სესხებისთვის

| | |
|---|---|
| D | 0-15 |
| D1 | 16-30 |
| D2 | 31-60 |
| E | >60 |

ყველა სხვა სესხისთვის:

| | |
|---|---|
| D | 0-30 |
| D1 | 31-60 |
| D2 | 61-90 |
| E | >90 |

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები მოიცავს ინფორმაციას კლიენტთა სესხების საკრედიტო ხარისხის თაობაზე 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ის დანერგვის შემდეგ:

| | სულ სესხები | ეტაპი 1 12 თვიანი ECL | ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის ECL არასაკრედიტო რისკით | ეტაპი 3- სრული სასიცოცხლო ციკლის ECL საკრედიტო რისკით | სულ ECL | წმინდა სესხები | ECL % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამომხმარებლო სესხები** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 168 | 168 | - | - | 5 | 163 | 3% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 55 | 55 | - | - | 4 | 51 | 7% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 16 | - | - | 16 | 9 | 7 | 56% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | 22 | - | 22 | - | 3 | 19 | 14% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 5 | - | 5 | - | 1 | 4 | 20% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | - |
| **აგრო სესხები** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 302 | 302 | - | - | 13 | 289 | 4% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 48 | 48 | - | | 6 | 42 | 13% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 16 | - | - | 16 | 12 | 4 | 75% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | 2 | - | 2 | - | - | 2 | 0% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 2 | - | 2 | - | 1 | 1 | 50% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | 7 | - | - | 7 | 5 | 2 | 71% |
| **საკრედიტო ხაზი** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 4,837 | 4,837 | - | - | 259 | 4,578 | 5% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 46 | 46 | - | - | 7 | 39 | 15% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |

| | სულ სესხები | ეტაპი 1 12 თვიანი ECL | ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის ECL არასაკრედიტო რისკით | ეტაპი 3- სრული სასიცოცხლო ციკლის ECL საკრედიტო რისკით | სულ ECL | წმინდა სესხები | ECL % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სალომბარდე სესხები** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 4,250 | 4,250 | - | - | 50 | 4,200 | 1% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 1,079 | 1,079 | - | - | 24 | 1,055 | 2% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 4 | - | - | 4 | 1 | 3 | 25% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | 324 | - | 324 | - | 13 | 311 | 4% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 75 | - | 75 | - | 6 | 69 | 8% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | - |
| **ბიზნეს სესხები ყოველთვიური გადახდის გრაფიკით** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 407 | 407 | - | - | 22 | 385 | 5% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 179 | 179 | - | - | 22 | 157 | 12% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 107 | - | - | 107 | 78 | 29 | 73% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | 16 | - | 16 | - | 4 | 12 | 25% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 41 | - | 41 | - | 18 | 23 | 44% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | - |
| **ბიზნეს სესხები ყოველდღიური გადახდის გრაფიკით** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 7,999 | 7,999 | - | - | 30 | 7,969 | 0,4% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 426 | 193 | 233 | - | 54 | 372 | 13% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 38 | - | - | 38 | 31 | 7 | 82% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | 80 | - | 80 | - | 31 | 49 | 39% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 6 | - | - | 6 | 5 | 1 | 83% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | 5 | - | - | 5 | 5 | 1 | 83% |
| **ჯამი:** | **20,562** | **19,563** | **800** | **199** | **719** | **19,843** | |

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები მოიცავს ინფორმაციას კლიენტთა სესხების საკრედიტო ხარისხის თაობაზე 2018 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ის დანერგვის შემდეგ:

| | სულ სესხები | ეტაპი 1<br>12 თვიანი ECL | ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის ECL არასაკრედიტო რისკით | ეტაპი 3- სრული სასიცოცხლო ციკლის ECL საკრედიტო რისკით | სულ ECL | წმინდა სესხები | ECL % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამომხმარებლო სესხები** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 1,351 | 1,201 | 53 | 97 | 138 | 1,213 | 10% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 3 | 1 | - | 2 | 1 | 2 | 33% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 1 | - | 1 | - | - | 1 | 0% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 1 | - | - | 1 | 1 | - | 100% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| **აგრო სესხები** | 929 | 894 | 26 | 8 | 50 | 879 | 5% |
| ვადიანი სესხები | 6 | - | 1 | 5 | 4 | 2 | 67% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 1 | - | - | 1 | 1 | - | 100% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 1 | - | 1 | - | - | 1 | 0% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | | | | | | | |
| **საკრედიტო ხაზი** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 316 | 316 | - | - | 50 | 266 | 16% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 20 | 20 | - | - | 2 | 18 | 10% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 4 | 4 | - | - | 1 | 3 | 25% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | 4 | 4 | - | - | 1 | 3 | 25% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 12 | 12 | - | - | 1 | 11 | 8% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |

| | სულ სესხები | ეტაპი 1<br>12 თვიანი ECL | ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის ECL არასაკრედიტო რისკით | ეტაპი 3- სრული სასიცოცხლო ციკლის ECL საკრედიტო რისკით | სულ ECL | წმინდა სესხები | ECL % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სალომბარდე სესხები** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 4,636 | 4,556 | 73 | 7 | 101 | 4,535 | 2% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 1,446 | 984 | 452 | 10 | 69 | 1,377 | 5% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | 4 | 1 | 5 | - | - | 4 | 0% |
| **ბიზნეს სესხები ყოველთვიური გადახდის გრაფიკით** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 2,784 | 2,721 | 25 | 37 | 157 | 2,627 | 6% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | - | - | - | 0% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | | | | | | | |
| **ბიზნეს სესხები ყოველდღიური გადახდის გრაფიკით** | | | | | | | |
| ვადიანი სესხები | 8,367 | 8,349 | 18 | - | 37 | 8,330 | 0% |
| 30 დღემდე ვადაგადაცილება | 44 | 1 | 43 | - | 14 | 30 | 32% |
| 30-60 დღე ვადაგადაცილება | 2 | - | 2 | - | 1 | 1 | 50% |
| 60-90 დღე ვადაგადაცილება | 3 | - | - | 3 | 3 | - | 100% |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 13 | - | - | 13 | 12 | 1 | 92% |
| 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | 15 | - | - | 15 | 14 | 1 | 93% |
| **ჯამი** | **19,963** | **19,064** | **700** | **199** | **658** | **19,305** | |

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რეიტინგების მიხედვით სასესხო პორტფელის გაშლის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს 9-ის დანერგვის შემდეგ:

| | სულ სესხები | ეტაპი 1 12 თვიანი ECL | ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის ECL არასაკრედიტო რისკით | ეტაპი 3- სრული სასიცოცხლო ციკლის ECL საკრედიტო რისკით | სულ ECL | წმინდა სესხები |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამომხმარებლო სესხები რეიტინგების მიხედვით | | | | | | |
| C | 168 | 168 | - | - | 5 | **163** |
| D | 55 | 55 | - | - | 4 | **51** |
| E | 16 | - | - | 16 | 9 | **7** |
| D1 | 22 | - | 22 | - | 3 | **19** |
| D2 | 5 | - | 5 | - | 1 | **4** |
| აგრო სესხები რეიტინგების მიხედვით | | | | | | |
| C | 302 | 302 | - | - | 13 | **289** |
| D | 48 | 48 | - | - | 6 | **42** |
| E | 22 | - | - | 22 | 17 | **5** |
| D1 | 2 | - | 2 | - | - | **2** |
| D2 | 2 | - | 2 | - | 1 | **1** |
| სალომბარდე სესხები | | | | | | |
| C | 4,250 | 4,250 | - | - | 50 | **4,200** |
| D | 1,079 | 1,079 | - | - | 24 | **1,055** |
| E | 4 | - | - | 4 | 1 | **3** |
| D1 | 324 | - | 324 | - | 13 | **311** |
| D2 | 75 | - | 75 | - | 6 | **69** |
| ბიზნეს სესხები ყოველთვიური გადახდის გრაფიკით | | | | | | |
| C | 407 | 407 | - | - | 22 | **385** |
| D | 179 | 179 | - | - | 22 | **157** |
| E | 107 | - | - | 107 | 78 | **29** |
| D1 | 16 | - | 16 | - | 4 | **12** |
| D2 | 41 | - | 41 | - | 18 | **23** |

| | სულ სესხები | ეტაპი 1 12 თვიანი ECL | ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის ECL არასაკრედიტო რისკით | ეტაპი 3- სრული სასიცოცხლო ციკლის ECL საკრედიტო რისკით | სულ ECL | წმინდა სესხები |
|---|---|---|---|---|---|---|
| საკრედიტო ხაზი | | | | | | |
| C | 4,837 | 4,837 | - | - | 259 | **4,578** |
| D | 46 | 46 | - | - | 7 | **39** |
| E | - | - | - | - | - | **-** |
| D1 | - | - | - | - | - | **-** |
| D2 | - | - | - | - | - | **-** |
| ბიზნეს სესხები ყოველდღიური გადახდის გრაფიკით რეიტინგების მიხედვით | | | | | | |
| C | 7,999 | 7,999 | - | - | 30 | **7,969** |
| D | 193 | 193 | - | - | 10 | **183** |
| E | 50 | - | - | 50 | 42 | **8** |
| D1 | 233 | - | 233 | - | 44 | **189** |
| D2 | 80 | - | 80 | - | 31 | **49** |
| ჯამი: | **20,562** | **19,563** | **800** | **199** | **719** | **19,843** |

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რეიტინგების მიხედვით სასესხო პორტფელის გაშლის შესახებ 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ის დანერგვის შემდეგ:

| | სულ სესხები | ეტაპი 1 12 თვიანი ECL | ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის ECL არასაკრედიტო რისკით | ეტაპი 3- სრული სასიცოცხლო ციკლის ECL საკრედიტო რისკით | სულ ECL | წმინდა სესხები |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამომხმარებლო სესხები რეიტინგების მიხედვით | | | | | | |
| C | 1,020 | 1,020 | - | - | 39 | **981** |
| D | 182 | 182 | - | - | 18 | **164** |
| E | 100 | - | - | 100 | 74 | **26** |
| D1 | 49 | - | 49 | - | 9 | **40** |
| D2 | 6 | - | 6 | - | 1 | **5** |
| აგრო სესხები რეიტინგების მიხედვით | | | | | | |
| C | 839 | 839 | - | - | 29 | **810** |
| D | 56 | 56 | - | - | 7 | **49** |
| E | 14 | - | - | 14 | 11 | **3** |
| D1 | 16 | - | 16 | - | 4 | **12** |
| D2 | 11 | - | 11 | - | 5 | **6** |
| სალომბარდე სესხები | | | | | | |
| C | 4,379 | 4,379 | - | - | 88 | **4,291** |
| D | 1,163 | 1,163 | - | - | 42 | **1,121** |
| E | 17 | - | - | 17 | 4 | **13** |
| D1 | 459 | - | 459 | - | 29 | **430** |
| D2 | 69 | - | 69 | - | 7 | **62** |
| ბიზნეს სესხები ყოველთვიური გადახდის გრაფიკით | | | | | | |
| C | 2,656 | 2,656 | - | - | 115 | **2,541** |
| D | 65 | 65 | - | - | 7 | **58** |
| E | 37 | - | - | 37 | 29 | **8** |
| D1 | 23 | - | 23 | - | 5 | **18** |
| D2 | 2 | - | 2 | - | 1 | **1** |

| | სულ სესხები | ეტაპი 1 12 თვიანი ECL | ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის ECL არასაკრედიტო რისკით | ეტაპი 3- სრული სასიცოცხლო ციკლის ECL საკრედიტო რისკით | სულ ECL | წმინდა სესხები |
|---|---|---|---|---|---|---|
| საკრედიტო ხაზი | | | | | | |
| C | 269 | 269 | - | - | 37 | **232** |
| D | 87 | 87 | - | - | 16 | **71** |
| E | - | - | - | - | - | **-** |
| D1 | - | - | - | - | - | **-** |
| D2 | - | - | - | - | - | **-** |
| ბიზნეს სესხები ყოველდღიური გადახდის გრაფიკით რეიტინგების მიხედვით | | | | | | |
| C | 8,136 | 8,136 | - | - | 16 | **8,120** |
| D | 212 | 212 | - | - | 13 | **199** |
| E | 31 | - | - | 31 | 28 | **3** |
| D1 | 44 | - | 44 | - | 12 | **32** |
| D2 | 21 | - | 21 | - | 11 | **10** |
| ჯამი: | **19,963** | **19,064** | **700** | **199** | **657** | **19,306** |

*საბაზრო რისკი.* კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და (დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძვნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

*სავალუტო რისკი.* სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | ლარში | აშშ დოლარი ლარში | ევრო ლარში | სულ ლარში |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 1,743 | 490 | 176 | **2,409** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 18,929 | 914 | - | **19,843** |
| სხვა აქტივები | 182 | - | - | **182** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **20,854** | **1,404** | **176** | **22,434** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| ნასესხები საშუალებები | 12,230 | 5,427 | - | **17,657** |
| სხვა ვალდებულებები | 946 | - | - | **946** |
| ***სულ* ფინანსური *ვალდებულებები*** | **13,176** | **5,427** | **-** | **18,603** |
| **წმინდა პოზიცია** | **7,678** | **(4,023)** | **176** | |

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | ლარში | აშშ დოლარი ლარში | ევრო ლარში | სულ ლარში |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 5,441 | 992 | 164 | **6,597** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 17,572 | 1,873 | - | 19,445 |
| სხვა აქტივები | 442 | - | - | **442** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **23,455** | **2,865** | **164** | **26,484** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| ნასესხები საშუალებები | 10,472 | 24,513 | - | **34,985** |
| სხვა ვალდებულებები | 968 | 21 | - | **989** |
| ***სულ* ფინანსური *ვალდებულებები*** | ***11,440*** | ***24,534*** | **-** | ***35,974*** |
| **წმინდა პოზიცია** | **12,015** | **(21,669)** | **164** | **(9,490)** |

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

| | 31 დეკემბერი 2018 წ. | | 31 დეკემბერი 2017 წ. | |
|---|---|---|---|---|
| | ზეგავლენა, მოგება (ზარალზე) | ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე | ზეგავლენა, მოგება (ზარალზე) | ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე |
| აშშ დოლარის გამყარება 10%-ით | (402) | - | (2,167) | - |
| აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით | 402 | - | 2,167 | - |
| ევროს გამყარება 10%-ით | 18 | - | 16 | - |
| ევროს დასუსტება 10%-ით | (18) | - | (16) | - |

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

***საპროცენტო განაკვეთის რისკი.*** საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

კლიენტებზე ყველა სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გაიცემა. გარდა ცალკეული საბანკო სესხისა ჯამური თანხით 1,902 და 3,033, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისათვის შესაბამისად, კომპანიას მიერ მოზიდული სესხები ასევე ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებიანია. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადები მნიშვნელოვანი რისკი. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განკვეთი სჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი. კომპანია ახორციელებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მქონე სესხებზე საპროცენტო განაკვეტების მგრძნობელობის ანალიზს. მისი ასეთი სახის სესხები მიბმულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთებზე (+ 4 %, + 6 %) იმ შემთხვევაში თუ რეფინანსირების განაკვეთი გაიზრდებოდა 0.5 % საპროცენტო ხარჯი გაიზრდებოდა 10 და 15, 2017 და 2016 წლების მიხედვით. საპირისპირო შემთხვევაში ეფექტი იქნება იგივე ოდენობის, ოღონდ საპირისპირო ნიშნით.

ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. ქვემოთ მოცემულია იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო მობაცმები რომლებიც ექვემდებარება ამ რისკს:

| | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| გაცემული სესხები | 19,662 | 21,708 |
| მიღებული სესხები | 33,083 | 34,063 |
| **სულ ნასესხები საშუალებები** | **52,745** | **55,771** |

2018 წლის 31 დეკემბრისათვის კლიენტებზე ყველა სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გაიცემა. მიერ მოზიდული სესხები ასევე ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებიანია. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადები მნიშვნელოვანი რისკი. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განკვეთი სჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. ქვემოთ მოცემულია იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო მონაცემები რომლებიც ექვემდებარება ამ რისკს:

| | 2018 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|
| გაცემული სესხები | 19,843 |
| მიღებული სესხები | 17,657 |

საპროცენტოს შემოსავლებისა და ხარჯების წარმომქმნელი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ამსახველი ცხრილი მოცემულია ქვემოთ 18 ახსნა განმარტებით შენიშვნაში.

***ლიკვიდურობის რისკი.*** ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა მართავს აქტივებს ლიკვიდურობის მიხედვით და პერიოდულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და მოლევადიან ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსის მიხედვით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

| *2018 წლის 31 დეკემბრისათვის* | 3 თვეზე ნაკლები ვადით | 3-დან 6 თვემდე | 6 თვიდან 12 თვემდე | 1 წლიდან 5 წლამდე | 5 წლის ზევით | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალდებულებები | | | | | | |
| ნასესხები საშუალებები | 245 | 3,417 | 13,995 | - | - | **17,657** |
| სხვა ვალდებულებები | 946 | - | - | - | - | **946** |
| **სულ ვალდებულებები** | **1,191** | **3,417** | **13,995** | **-** | **-** | **18,603** |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

| *2017 წლის 31 დეკემბრისათვის* | 3 თვეზე ნაკლები ვადით | 3-დან 6 თვემდე | 6 თვიდან 12 თვემდე | 1 წლიდან 5 წლამდე | 5 წლის ზევით | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალდებულებები | | | | | | |
| ნასესხები საშუალებები | 17,184 | 350 | 16,811 | 640 | - | **34,985** |
| სხვა ვალდებულებები | 989 | - | - | - | - | **989** |
| **სულ ვალდებულებები** | **18,173** | **350** | **16,811** | **640** | **-** | **35,974** |

***კაპიტალის მართვა.*** კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი, ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღომ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას

ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანიას არ ექვემდებარება გარეშე კაპიტალის რეგულაციას გარდა ეროვნული ბანკის რეგულირებისა. კომპანია შესაბამისობაშ ეროვნული ბანკის მოტხოვნებთან.

## 18. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. კომპანიის საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები იხილეთ მე-16 შენიშვნაში - „რისკის მართვა“.

| *2018 წლის 31 დეკემბრისათვის* | მოთხოვნის-თანავე და 3 თვეზე ნაკლები | 3-დან 6 თვემდე | 6 თვიდან 12 თვემდე | 1 წლიდან 5 წლამდე | 5 წლის ზევით | დაფარვის ვადის გარეშე | ვადაგადაცი-ლებული | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 2,409 | - | - | - | - | - | - | **2,409** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 9,630 | 175 | 675 | 7,391 | - | - | 1,972 | **19,843** |
| ძირითადი საშუალებები | - | - | - | - | - | 62 | - | **62** |
| არამატერიალური აქტივები | - | - | - | - | - | 189 | - | **189** |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | - | - | 115 | - | - | - | - | **115** |
| სხვა აქტივები | 53 | 94 | 35 | - | - | - | - | **182** |
| **სულ აქტივები** | **12,092** | **269** | **825** | **7,391** | **-** | **251** | **1,972** | **22,800** |
| **ვალდებულებები** | | | | | | | | |
| ნასესხები საშუალებები | 245 | 3,417 | 3,613 | 10,382 | - | - | - | **17,657** |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| გადასახდელი გადასახადები | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| ანარიცხები | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| სხვა ვალდებულებები | - | - | - | - | - | - | - | **-** |
| **სულ ვალდებულებები** | **245** | **3,417** | **3,613** | **10,382** | **-** | **-** | **-** | **17,657** |
| **წმინდა პოზიცია** | **11,847** | **(3,148)** | **(2,788)** | **(2,991)** | **-** | **251** | **1,972** | **5,143** |

| *2017 წლის 31 დეკემბრისათვის* | მოთხოვნის-თანავე და 3 თვეზე ნაკლები | 3-დან 6 თვემდე | 6 თვიდან 12 თვემდე | 1 წლიდან 5 წლამდე | 5 წლის ზევით | დაფარვის ვადის გარეშე | ვადაგადაცი-ლებული | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 6,597 | - | - | - | - | - | - | **6,597** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 13,298 | 1,412 | 2,439 | 1,233 | - | - | 1,063 | **19,445** |
| ძირითადი საშუალებები | - | - | - | - | - | 4,721 | - | **4,721** |
| არამატერილური აქტივები | - | - | - | - | - | 188 | - | **188** |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | - | - | - | - | - | 115 | - | **115** |
| სხვა აქტივები | 16 | 16 | 377 | 33 | - | - | - | **442** |
| **სულ აქტივები** | **19,911** | **1,428** | **2,816** | **1,266** | **-** | **5,024** | **1,063** | **31,508** |
| **ვალდებულებები** | | | | | | | | |
| ნასესხები საშუალებები | 18,116 | - | 16,229 | 640 | - | - | - | **34,985** |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | 454 | - | - | - | - | - | - | **454** |
| გადასახდელი გადასახადები | 62 | - | - | - | - | - | - | **62** |
| ანარიცხები | - | - | - | 422 | - | - | - | **422** |
| სხვა ვალდებულებები | 989 | - | - | - | - | - | - | **989** |
| **სულ ვალდებულებები** | **19,302** | **-** | **16,229** | **1,062** | **-** | **-** | **-** | **36,593** |
| **წმინდა პოზიცია** | **609** | **1,428** | **(13,413)** | **204** | **-** | **5,024** | **1,063** | **(5,085)** |

| *2017 წლის 1 იანვრისათვის* | მოთხოვნის-თანავე და 3 თვეზე ნაკლები | 3-დან 6 თვემდე | 6 თვიდან 12 თვემდე | 1 წლიდან 5 წლამდე | 5 წლის ზევით | დაფარვის ვადის გარეშე | ვადაგადაცი-ლებული | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 4,954 | - | - | - | - | - | - | **4,954** |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 12,758 | 965 | 2,241 | 2,441 | | | 3,303 | **21,708** |
| ძირითადი საშუალებები | | | | | | 4,895 | - | **4,895** |
| არამატერიალური აქტივები | - | - | - | - | - | 225 | - | **225** |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | - | - | 199 | - | - | - | - | **199** |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | - | 545 | - | - | - | - | - | **545** |
| სხვა აქტივები | 13 | 14 | 535 | 245 | - | - | - | **807** |
| **სულ აქტივები** | **17,725** | **1,524** | **2,975** | **2,686** | **-** | **5,120** | **3,303** | **33,333** |
| **ვალდებულებები** | | | | | | | | |
| ნასესხები საშუალებები | 12,700 | 3,348 | 19,148 | 1,260 | 640 | - | - | **37,096** |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | 533 | - | - | - | - | - | - | **533** |
| ანარიცხები | - | - | - | 360 | - | - | - | **360** |
| სხვა ვალდებულებები | 1,031 | - | - | - | - | - | - | **1,031** |
| **სულ ვალდებულებები** | 14,264 | 3,348 | 19,148 | 1,620 | 640 | - | - | 39,020 |
| **წმინდა პოზიცია** | **3,461** | **(1,824)** | **(16,173)** | **1,066** | **(640)** | **5,120** | **3,303** | **(5,687)** |

## 19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

*ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები.* ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძვნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები წარმოადგენს მათ რეალურ ღირებულებებს.

*ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები.* ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდენლი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება).

ნასესხები საშუალებების დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

მოკლევადიანი სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას. შეფასების მეთოდები არ შეცვლილა წინა წელთან შედარებით.

## 20. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

2018 წლის 1 იანვრიდან ფასს 9 გადასვლის შემდეგ კომპანიის ყველა ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია ბიზნეს-მოდელის საფუძველზე მოხდა. ფასს მიხედვით ფინანსური აქტივები იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილ, სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახულ და სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახულ აქტოვებად. კომპანიას ყველა ფინანსური აქტივი წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილ ფინანსურ აქტივს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილ ფინანსურ აქტივს |
|---|---|
| **აქტივები** | |
| საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე | 658 |
| გაცემული სესხები | 19,843 |

ამავე თარიღისათვის კომპანიის ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია სხვა ფინანსური ვალდებულების ჯგუფში რომელიც აისახება ამორტიზირებული ღირებულებით

| | სხვა ფინანსური ვალდებულები |
|---|---|
| **ვალდებულებები** | |
| მიღებული სესხები | 17,657 |
| სხვა ვალდებულებები | 652 |

2018 წლის 1 იანვრამდე, შეფასების მიზნით ბასს 39-ში, *ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება,* ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით (“FVTPL”). სამართლიანი ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი

ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და (ii) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

კომპანიას აქვს მხოლოდ ერთი კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები სესხები და დებიტორული დავალიანება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანური აქტივები და ვალდებულებები ზემოთ ამ კატეგორიის მიხედვით:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | სესხები და დებიტორული დავალიანება | სულ |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე | 1,101 | **1,101** |
| გაცემული სესხები | 19,445 | **19,445** |
| სხვა ფინანსური აქტივები | 254 | **254** |
| **ვალდებულებები** | | - |
| მიღებული სესხები | 34,985 | **34,985** |
| სხვა ვალდებულებები | 527 | **527** |

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

## 21. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

| | *2017 წლის 31 დეკემბრისათვის* | ფულადი ნაკადებით გამოწვეული სხვაობა | გადაფასების ცვლილება | *2016 წლის 31 დეკემბრისათვის* |
|---|---|---|---|---|
| ნასესხები საშუალებები | 34,784 | (1,716) | (360) | 36,860 |

| | *2017 წლის 31 დეკემბრისათვის* | ფულადი ნაკადებით გამოწვეული სხვაობა | გადაფასების ცვლილება | *2016 წლის 31 დეკემბრისათვის* |
|---|---|---|---|---|
| ნასესხები საშუალებები | 17,657 | (16,939) | (188) | 34,784 |

## 22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

| | დამფუძნებ-ლები (კომპანიის მაკონტროლე-ბელი ფიზიკური პირები) | მაკონტროლებე-ლი პირის მფლობელობაში არსებული კომპანია | სხვა დამფუძნებ-ლები | სხვა მენეჯმენტი |
|---|---|---|---|---|
| იჯარის ხარჯი | - | 347 | - | - |
| მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი) | 45 | - | 54 | 23 |
| მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი) | 1,366 | - | 1,674 | 708 |

2017 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

| | დამფუძნებლები (კომპანიის მაკონტროლებელი ფიზიკური პირები) | სხვა დამფუძნებლები | სხვა მენეჯმენტი |
|---|---|---|---|
| გაცემული სესხები (ნაშთი) | - | 15 | - |
| მიღებული სესხები (ნაშთი) | 1,297 | 559 | - |
| გადახდილი დივიდენდები | 134 | 76 | - |
| გაცემული სესხებზე დარიცხული პროცენტი | - | 10 | - |
| მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი | 209 | 82 | - |
| მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი) | 54 | 52 | 14 |
| მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი) | 1,345 | 1,307 | 300 |

2016 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ბალანსები:

| | დამფუძნებლები (კომპანიის მაკონტროლებელი ფიზიკური პირები) | სხვა დამფუძნებლები | სხვა მენეჯმენტი |
|---|---|---|---|
| გაცემული სესხები (ნაშთი) | - | 115 | - |
| მიღებული სესხები (ნაშთი) | 1,185 | 475 | - |
| გადახდილი დივიდენდები | 1,208 | 687 | - |

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სს თიბისი ბანკის სესხები ნაწილი უზრუნველყოფილი იყო კომპანიის დამფუძნებლებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირადი თავდებობით.

## 23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანია 2019 თებერვალში გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. ტრანსფორმაციის შედეგად კომპანიამ გამოუშვა ჩვეულებრივი აქციები 300 მილიონი ცალი, რომელთაგან განთავსებულია 189,700 ათასი აქცია, განთავსებული აქციების ჯამური ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,102. ასევე კომპანიამ გამოუშვა რამოდენიმე კლასის პრივილეგირებული აქცია სულ 36 მილიონი რომელთაგან განთავსებული აქციების ჯამია 19,820 ათასი აქცია ნომინალური ღირებულებით 8,187.

2019 წელს პრივილიგირებულ აქციებზე ჯამურად განაწილდა დივიდენდის სახით 487.

2019 კომპანიას დაემატა რამოდენიმე ახალი ჩვეულებრივი აქციების მფლობელი. ამ ტიპის დამატებული აქციონერების ჯამური ოდენობა არ აჭარბებს შევსებული კაპიტალის 2 პროცენტს. კომპანიაში კონტროლი არ შეცვლილა 2019 განმავლობაში.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 15 ივნისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.